

საქართველოს



იმისთანა წმინდა საცმეში, ბეჭედიც ბეჭედი სიფყვას, ფეხილებით და ჭბრებით ბუდის გაფანა ყულა უკადრისდბაჟ უსამაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, **22** იანვარი, 2014 წელი.

№13 (7394)

რესპუბლიკა

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge ვებ გვერდი: www.open.ge ფასი 50 თეთრი.

„გელოდებით, გირაკავით და რატომ არ მოდისართ? ღორები და კაღები ჭაბუნ დაღუპულეს“!



2

მათ არ სურდათ არც ერთი მიცვალებულის გადმოსვენება, ჩატოვეს გვამები და აგვისტოს გაგანია სიცხეში ხელ-ფეხმოგლეჯილ მიცვალებულებს მატლები დაესიათ. პატრიარქი რომ არა, მათ ვერ გადმოვასვენებდით. სხვათა შორის, ბორისოვმა რამდენჯერმე მიუთითა, მე მოგცემთ ტრანსპორტს, რომ თქვენი მიცვალებულები გადაასვენოთ, უსაფრთხოების დერეფანს შეგიქმნითო, ლომიას და გივი თარგამაძეს მიმართა, დაღუპულები ოჯახს დაატირებინეთო. იქ იყო თემურ ალასანიაც, მიხეილ სააკაშვილის ბიძა, მათ უნდოდათ ტექნიკისა და შეიარაღების მაქსიმალურად გაწერა. ეს ტექნიკა მათ სხვა ქვეყნებში ჰქონდათ გადაყიდული

საბოტაჟი, ჩასაფრებულის პროვოკაცია, კრიმინალი თუ!..

რუმორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, 20 იანვარს, ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილებისა და შეტყობინების გარეშე, თბილისის მერიის დაჯალბებით, „საქტელერადიო ცენტრის“ ტექნიკურ სამსახურთან შეუთანხმებლად, 16 საათსა და 30 წუთზე შესაბამისმა სამსახურებმა გაათიშეს სატელეფიზიო ანძის განათება, სასიგნალო განათება კი რატომღაც არ ჩაირთო. ამან, თავის მხრივ, საფრთხე შეუქმნა თბილისის საპატრონო სივრცის უსაფრთხოებას.

არადა, როგორც „საქტელერადიო ცენტრის“ მიერ გაფრთხილებულ განცხადებაშია ნათქვამი, მერიას გათიშვამდე რამდენიმე საათით ადრე მაინც რომ გაფრთხილებინა იგი, ამ ცენტრის ტექნიკური სამსახური შეძლებდა განათების ხელახალ საკონტროლო გადამონმებას და ზემოაღნიშნული საფრთხეების თავიდან აცილებას.

რა იყო ეს – საბოტაჟი, ჩასაფრებულის პროვოკაცია, კრიმინალი თუ სხვა რამ უბედურება, რასაც სერიოზული კატასტროფაც კი შეიძლებოდა გამოეწვია?

ამას გამოძიება დაადგენს, რაც დაიწყო კიდეც. პირველად დასაკითხად დაიბარეს თბილისის მერიის დაქვემდებარებაში არსებული „სინათლის ქალაქის“ დირექტორი ნიკა ტოგონიძე, რომელმაც გუშინვე დატოვა პროკურატურა.

„დაკითხვა წუსანდელ ინციდენტთან დაკავშირებით იყო. კითხვები ძირითადად, ტექნიკური ხა-

სიითისა იყო, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი სანარმო, რას უწევს ექსპლუატაციას, შეხება გვაქვს თუ არა ნავიგაციასთან და ა.შ.“ – განაცხადა ტოგონიძემ.

ტოგონიძის დაკითხვაზე დაბარებამ რატომღაც გააკვირვა თბილისის მერიის მოვალეობის შემსრულებელი სევედია უგრენელიძე. იგი მოითხოვს, რომ სატელეფიზიო ანძის გათიშვის ფაქტზე პროკურატურამ იგი დაკითხოს, რადგან ანძის გათიშვის გადწყვეტილება თავად მიიღო.

„როგორც ვიცი, ნიკა ტოგონიძე ჰყავთ მთავარ პროკურატურაში დაკითხვაზე. ჩემთვის გაუგებარია ეს ყველაფერი, რადგანაც ანძის გათიშვის გადწყვეტილება პირადად მე მივიღე და თუ ვინმე უნდა დაკითხოს პროკურატურამ, დამკითხონ მე“, – განაცხადა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში უგრენელიძემ.

საჭიროების შემთხვევაში, ალბათ, თქვენამდეც მოვლენ, ქალბატონო სევედია, და იმასთანაც, ვინც, შესაძლოა, სინამდვილეში გასცა ეს განკარგულება! ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს! ეს აუცილებელია ამგვარი „თამაშების“ უფლება არავის არ უნდა მიეცეს!

ნაადრევი იმართი ზეიმი, ვინს მესნიერების სრულ განადგურებას გეგმავდა!

3



ამა ვდგავარ და სხვაგვარად არ ქალმის! გაჯაჯილდენს სლისტები, დაგვსინიან კიდეს!!!

5



წითელი უშქნიშანი უემოვლით გზაზე,

ანუ რატომ მიიჩნევენ ამ ეზავზე მენეჯლოვის ბაგრძელაზს მიზანშეწონილად ავსტრიელი სპეციალისტები

4



რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

ალიანსი

ნატოს ნელ-ნელა ვუახლოვდებით

ბრიუსელში მიმდინარე ნატოს სამხედრო კომიტეტზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ვახტანგ კაპანაძის დასწრება...

ეს არის 2014 წელს ამ ფორმატის პირველი შეხვედრა. ნატოს სამხედრო კომიტეტი ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი სტრუქტურაა.



სამხედრო კომიტეტის მნიშვნელობაზე საუბრობს „საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ ხელმძღვანელი დავით სიხარულიძე...

კანონმდებლები

სტრატეგიული ობიექტები სახელმწიფოს უნდა გადაეცეს!

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის ხელმძღვანელის ზურაბ ტყემალაძის განმარტებით...

ჩვენი უახარესი სინაგოგა

რბს იხსენებს გენერალი ბორისოვი აგვისტოს ომის შესახებ და რა უნდა დავაქოთ ალანანის მის ავტომანქანაში? 2008 წლის აგვისტოს ომის დეტალებზე ვიანქნავ ბორისოვი საუბრობს.

ბორისოვი იხსენებს, რომ ამ საქმის ორგანიზებისთვის მიხილ სააკაშვილმა სწორედ ეს ორი პირი გააგზავნა.

„როდესაც ქართულმა მხარემ მხოლოდ ხუთი ტყვე გადასცა რუსეთს, ამას მოჰყვა ჩვენი მოთხოვნა, ყველა დაკავებული, გარდაცვლილი და დაჭრილი გამოცემის შესახებ.“

For.ge დაუკავშირა ამ შეხვედრის თვითმხილველს, გორის უსაფრთხოების სამსახურის ყოფილ ხელმძღვანელს ტბრილ მყოფელს.

კაკალ გულში

ფერტილობანი ურაცები

სევდია საშუალო არითმეტიკული, ბიჭო, საფანჯი მაინც დოუტე ვინმეს ამ პროკურორის პოსტზე... ეგების გეებას ვინმე.

ქართული სცოდნია ბორისოვს — „კაი, ბიჭო, კაი, დაწვარდო“. ბორისოვს ვთხოვე, ჩვენ გამოვიყვანთ იმ ბიჭებს-თქო“.

„გელოვანი, გიპეკო და რატომ არ მოღიპო? ღოობი და კალუბი ჭამენ დაღუპულს...“



ჩამოდოდა და რუსებთან ერთად დადიოდა გორში. ბორისოვთან და კიდევ ორ რუს გენერალთან ერთად მოძრაობდა ქალაქში.

ელ თოდადე, როგორც იქაური პიროვნება, დარჩა გორში და მას ატყობინებდა, თუ რა ხდებოდა ამ ტერიტორიაზე.

„გვამებთან დაკავშირებულ საკითხში მეც აქტიურად გახლდით ჩართული, გენდოდა, როგორმე მოგვეზარებინა მათი გადმოსვენება, მოლაპარაკებებს ვაწარმოებდით ვილაცი-ვილაციების მეშვეობით.“

მახვე დადასტურა, რომ ლომია-თარგამაძე და თემურ ალანანია სულ სხვა რამის გამო იყვნენ იქ ჩასული, არა მოსახლეობის უსაფრთხოების და მიცვალებულთა გადმოსვენებისთვის, არამედ თავიანთი მიზანი ადარდებდათ.

თქება უნდოდათ. მეტიც, ლომია იამ სელი აუქნია ბორისოვს, მიცვალებულები არ მაინტერესებს, თავი დამანებო.

სამხედრო ექსპერტი გიორგი თავდგირიძე ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ „ნებისმიერი ქვეყანა საკუთარ საბრძოლო კონფლიქტებს იძიებს.“

მისი თქმით, გივი თარგამაძე მაშინ პარლამენტის წევრი იყო, მის სახელმწიფო აპარატის წარმომადგენლის ფუნქცია არ ჰქონდა, მაგრამ იმყოფებოდა გორის რაიონში და გარკვეულ კონტაქტებში შედიოდა.

ძალიან კი გამიგრძელდა მეთხველთან ურთიერთობის პაუზა, რაც საახალწლო ბახუს-ნაბახუსევის ბრალია, მაგრამ რა ვქნა? მეც ჩემი ერის შვილი, სორცი სორცთაგანი, ერთი რიგითი, ცოდვილი ქართველი ვარ და მისი ყველა ღირსება თუ ნაკლი მეტ-ნაკლებად მახასიათებს...

საიღან ასეთი ნათელმხილველობის ნიჭი მე, ერთ უბირ პუბლიცისტს? — შარშან ნოემბრის ბოლოს თუ დეკემბრის დასაწყისში, ყურნალისტები შეხვედნენ (უმეტესად ისინი, აი, მედია-ექსპერტებს რომ ეძახიან საკუთარ ლიბერალისტულ თავებს) შს მინისტრს ჭიკაბძეს. შს შეხვედრაზე ერთმა „ექსპერტმა“ მინისტრს ჰკითხა — მომავალ, 2014 წლის 17 მაისსაც (მსოფლიო პედერასტების სოლიდარობის დღეს, „ლგბტ“ საზოგადოებას რომ უწოდებენ საკუთარ აქოტებულ თავებს — დ. მ.) იგივე იქნება, რაც აქამდე იყო? ანუ შსს კვლავ „ვერ“ უზრუნველყოფს ქართველი პედერასტების უსაფრთხო გაჯეჯვლებას რუსთაველზე? რაზეც ახალგაზრდა მინისტრმა — რა ვქნა, მართლმადიდებელი ქრისტიანი ვარ, 17 წლის ასაკიდან ვეზიარები, მოძღვარი, თანაც ბერი (III) მოძღვარი მყავს, გეიპარადები ჩემთვისაც მიუღებელიაო. და აქ იფეთქა თურმე დავით აქუბარდიას კნეინამ, ნინო ჯანგირაშვილმა — როგორ ბედავ ამის თქმას, აქ არავის აინტერესებს შენი მართლმადიდებლობაო და ა.შ.

როგორც თავის დროზე არსენას გამოზაალ ბარათაშვილმა, კნეინა ნინომაც, ოღონდ პედერასტების გამო, „ქოში უკუღმა ჰყარაო“... ერთადერთი, ვინც მხარი დაუჭირა შს მინისტრს, თურმე ირმა ინაშვილი ყოფილა, რომელიც, როგორც მიაბძეს, თეთრი ყვავივით ჩანდაო გრანტებნაჭამი ყორნების ფონზე — რა თავს იმართლებ ამ ლიბერალისტებთან, დიახაც მე პირველ რიგში შენი მართლმადიდებლობა, ანუ, მრწამსი, ზნეობრივი პოზიცია მაინტერესებსო! — ჩვეული ომახიანობით შეუძახნია ირმა ინაშვილს: ჯანგირაშვილები-ტრაპაძეები-ანთაძეები-მეტრეველი-ქორიძეების ფრონტალური შეტევისგან ნირნამხდარი მინისტრისთვის...

გაიგეთ ხალხო, თითქოსდა ჯერ რა დროს მომავალი 17 მაისია, არა? ეს ხლისტები კი ასლავე ეზადებიან რუსთაველის პროსპექტის წასაბღლად — ეს იყო სწორედ ჩემი ნათელმხილველობის საფუძველი...

შოდა, რა არის ან ვინ, ყოველივე ეროვნულ-ტრადიციული უპირველესი მოდარაჯე და ქომაგი, თუ არა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია და მისი საჭეთპყრობელი, უწმინდესი და უნეტარესი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II? ამიტომაც და არატყეს ორივეს ერთად ნაშობავებს — აქაოდა, ეკლესია და პატრიარქი პროგრესის და მეცნიერების წინააღმდეგნი არიანო!

თაურობით, გაბედეს და საპატრიარქოსთან საპროტესტო აქცია გამართეს პატრიარქის შუურაცხყოფელი პლაკატებითურთ, რაზედაც ღირსეული პასუხიც მიიღეს.

გაჯეჯვლენ ხლისტები, დაბოსინიან კიდეც!!!



სამინისტროსთან სოზარ სუბარის გადადგომის და ვანო მერაბიშვილის განთავისუფლების (!!!) მოთხოვნით გამართულმა აქციამ გამოიყვანა — კომპიუტერთან დაჯდომის და წინამდებარე წერილის წერის სურვილი გამოჩნდა. ანუ, ზახუსთან უსაზღვანო ტროტების დღეების შემდეგ, რაციონალური აზროვნების უნარი საბოლოოდ აღმიდგა...

აკი ვამბობდი, საბრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კოპაბიტაცია კი არ დამთავრებდა, როგორც ამას პლასტელინ-ქსლისამბეჭეველი მარგველშვილი გვირდებოდა, არამედ პოლიტიკურად ერთსქესიანი ნაცებ-ქოცების ქორწინება-ქორწილის ნახვა გველის-მეთქი და აბა, ვინილეთ კიდეც!

ოფისები თუ საარჩევნო შტაბები გამოკეტილ-ამოგმანული ჰქონდათ, რომ იტყვიან, ცხვირის გარეთ გამოყოფას ვერ ბედავდნენ და, იმის მაგივრად, ერთი „საკონტროლო გასროლით“ მოემთავრებინათ ყველაფერი, 1 ოქტომბრის არჩევნების შემდეგ ნოკაუტში მყოფი ნაცბანდა მოასულიერეს, კოპაბიტაციის ნიშადური აფნოსეს და ახლა გვაქვს ის, რაც გვაქვს: ვანო მერაბიშვილი და ბაჩო ახალაია პოლიტატიმრები?!

სამართლიანობის აღდგენას ვინლა დაეძებს, ქართველ ერს კოლექტიურ-მასობრივი ნევროზი შეგვყარა, ყოველდღე გიორგი ონიანის მსგავსი ადვოკატების, თუ სხვა ყოფილი ზონდერების შუურაცხყოფელმა მონოლოგებმა ნაცებ-ქოცების ერთობლივად კონტროლირებადი ტელევიზიებიდან, ან იგივე ნაცოდროზი ლიდერების დებატებმა, ოცნების ასევე თანდათან სულ უფრო ოდიოზობისკენ მიდრეკილ ლიდერებთან...

და ვინ გაბედა ეს? როგორც „იმედის“ სიუჟეტიდან შევტყვევთ, 15 არასამთავრიანად სოზარ სუბარი თავისუფლების ინსტიტუტში გამოზრდილი ისეთივე ხლისტია, როგორც მთელი რესპუბლიკური პარტია, რომელიც აგრე ვერაგულად დაგვასვა თავზე ქართველ ერს ბიძინა ივანიშვილმა!!! ამიტომ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც, ყველას ერთად და ცალ-ცალკე, როგორც იტყვიან — თავშიც ქვა უხლიათ და მუცელში სამართებელი...

რობომ. პიროვნულად კი ვინმე „მასკიანმა“ ნიკოლოზ ჩათლახაშვილმა, ვილაც ვასილ ურუშაძემ, ვანო მერაბიშვილის ტურფამ, თაკო სალაყაიამ და ბლანჟე-ცანცარა გიგა ნასრიდემ...

ამ კადრების შემხედვარეს, უნებურად გამახსენდა 2010, 11 და 12 წლები, როდესაც მაშინდელი წინააღმდეგობის მოძრაობის (დღეს პოლიტიკური პარტია, „სპა“, ანუ, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი) მიერ ორგანიზებულ საპროტესტო აქციებში ვმონაწილეობდი იმავე სამინისტროსთან და სადაც პატიმართა წამება-მოკვდინების ფაქტებს ვაპროტესტებდით — სად ბრძანდებოდა მაშინ ეს არასამთავრობო, რომლებიც დღეს ვანო მერაბიშვილის, ბაჩო ახალაიას უცოდველ კრავებად რაცხენ, რატომ მაშინ არ იღებდნენ ხმას, როდესაც პატიმრებს ცემაში კლავდნენ და ცოცხებით აუპატიურებდნენ?

ან ეს „შმარა“ თაკო სალაყაია, რა ნამუსით ლაპარაკობს დანაშაულის დაფარვა-პასუხისგებაზე? მაგისი ხლისტი ქმრის განთავისუფლება კი არა, ეგ „აშარმოკაც“ ვანოს ვევერდითა საკანში უნდა იჯდეს, როგორც სანდრო გირგვლიანის მკვლელობის მთავარი დამკვეთი, მაგრამ ყოფნის თავხედობა და აქეთ გამოდის ბრალმდებლის როლში! და ბოლოს გიგა ნასრიდემ, დედაკაცის სარცხინელს რომ უგავს ბლანჟეთი „მოპირკეთებული“ ტუნ-ნიკაპი! — ეს ის ცნობილი ახვარია, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის გამოჩენისთანავე დააფუძნა ა.ო. „საქართველო არ იყიდება“... რაღაა ნეტავ გასაყიდი ან დღეს, და ან მაშინ რა იყო?

ახლა ვინმე იქნება მითხრას, ბლანჟე რა შუაშიაო? შუაში კი არა თავშია! აკი თავად წამოაყრანტალა ამ არაკაცმა — ბლანჟეს სწორედ იმიტომ ვატარებ, რომ ჩვენს საზოგადოებაში მაინცდამაინც არ არის მიღებული... მაგრამ მეც ვიტოვებ უფლებას, რომ ისედაც საზოგადოებრივად, სწორედ რომ, ბლანჟეს გამო კიდე უფრო მეზიზღებოდეს — რა ვქნა, ის ბედნიერი დრო დიდი ხანია ისტორიას ჩაბარდა, როდესაც „ბლანჟე“ მხოლოდ ინტელიგენტობის, განსწავლულობის სიმბოლო იყო. ახლა კი?.. ბლანჟეთი „პირმოპირკეთებულ“ ჩემს „ნაცნობებს“ შორის ვერც ერთ კაცობაზე პრეტენზიის მქონეს ვერ ვისვენებ: „ედპენიკი“ გურამ ჩახვამე იქნება ეს, ილიას უნივერსიტეტის „პროფესორი“ სიმონ ჯანაშია, „მწერალი“ ზაზა ბურჭულაძე თუ 53-ე სკოლის ყოფილი დირექტორი ტარიელ შავშიშვილი და ა.შ. ჩამონათვისის გაგრძელება კიდე შეიძლება — ამათგან რომელიმეზე ითქმის კაციაო? თუკი ვინმე დამისახელებს ამ არაკაცთა ლიბერალისტების საპირწონედ ვინმე თანამედროვე, კაცობაზე პრეტენზიის მქონე „ბლანჟესოცესს“, მისი მადლობელი ვიქნები, ხოლო დასახელებულს ბოდიშს მოვუხდით, როგორც საერთო ტენდენციიდან ამოვარდნილ იშვიათ გამონაკლისს...

© რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

პრემიერი გაფლანგვის ბაშო დაზარალდა



სამხრეთი ოსეთის მთავრობა გადაყენეს

სამხრეთი ოსეთის პრეზიდენტმა ლეონიდ თიბილოვმა გადააყენა როსტიკ ხუგაევის მთავრობა. პრეზიდენტის სიტყვებით, ერთ-ერთი მიზეზი გახდა მთავრობის მიერ რუსეთის მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯვაში გამოვლენილი დარღვევები. მთავრობის მეთაურის მოვალეობის შემსრულებლად ვიცე-პრემიერი დომენტი კულუმბეგოვი დაინიშნა.

სამხრეთი ოსეთის მთავრობის შესაძლო გადაყენების შესახებ გაჩნდა ჯერ კიდევ შარშან წლის ბოლოს – სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის თანაშემწის ვიარსლავ სურკოვის ვიზიტის შემდეგ, რომელიც შემოდგომიდან პასუხისმგებელია მოსკოვის დამოკიდებულებებზე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან. ჩვენი წყაროების სიტყვებით, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობაში ნოემბერში დახურულ სხდომაზე ცხინვალში, სამხრეთი ოსეთის მთავრობის წარმომადგენლებისა და მეიჯარეების მონაწილეობით, რომლებიც რესპუბლიკის აღდგენაზე მუშაობდნენ, ბატონმა სურკოვმა საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა მშენებლობის ტემპი. საუბრის დეტალებს წყაროები არ ასახელებენ, მაგრამ რესპუბლიკის ხელმძღვანელობის დასკვნები გაკეთებულია: პირველი ნაბიჯი გახდა ხუგაევის მთავრობის გადადგომა. სამხრეთ ოსეთში ის წლინახევრის წინათ ჩამოვიდა სამხრეთიდან ლეონიდ თიბილოვის მიწვევით.

სააკაშვილი უახლოესი წელიწადნახევრის განმავლობაში სამუშაოში არ დაბრუნდება

საქართველოს ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან არ დაბრუნდება, როგორც მინიმუმი, წელიწადნახევრის განმავლობაში, რაც დაკავშირებულია მის სალექციო მოღვაწეობასთან, განუცხადა ჩვენს გაზეთს 20 იანვარს ვაშლინთან დეპუტატმა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ მიხეილ მაჭავარიანმა. მისი სიტყვებით, პირველი კურსი, რომელსაც მოაწყობს ამერიკაში ქვეყნის ყოფილი ხელმძღვანელი, გათვლილია ექვს თვეზე. – მაგრამ სააკაშვილი შეიძლება დაბრუნდეს იქ უფრო დიდხანსაც, ვინაიდან მასზე ამერიკის სასწავლებლებში დიდი მოთხოვნაა, – აღნიშნა მაჭავარიანმა.

ტაფტის უნივერსიტეტთან არსებულმა ფლექტერის სახელობის სამართლისა და დიპლომატიის სკოლამ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტისთვის შექმნა სპეციალური „შმაღლესი რანგის სახელმწიფო მოსამსახურის“ თანამდებობა. სწორედ ამ სკოლისთვის არის გათვალისწინებული პირველი ნახევარწლიანი კურსი სააკაშვილისგან. თანამდებობა შეიქმნა პირველად და გათვალისწინებულია იმისთვის, რომ ტაფტის უნივერსიტეტის სტუდენტებს, მომავალ დიპლომატებსა და სამართალმცოდნეებს ჰქონდეთ კონტაქტები საერთაშორისო მასშტაბის ცნობილ ლიდერებთან და სპეციალისტებთან. სკოლის დეკანია ამერიკის ყოფილი სამხედრო მეთაური ჯეიმს სტავრიდისი, რომელიც სააკაშვილმა თავის უფლებამოსილებათა დამთავრებამდე ცოტა ხნით ადრე, შარშან ნოემბერში დააჯილდოვა საქართველოს ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხის ორდენით.

სააკაშვილი უკვე გამოვიდა პრინსტონის უნივერსიტეტში. ამ დღეებში მას ჰარვარდში ელოდებიან.

მიხეილ მაჭავარიანმა გვაცნობა, რომ სააკაშვილმა, რომელმაც წინააღმდეგე შეინარჩუნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის პოსტი, ფაქტობრივად, მოახდინა დისტანცირება პარტიული მუშაობისგან.

– დაახლოებით კვირაში ერთხელ ის გამოდის ჩვენთან კავშირში, მაგრამ მთლიანად მიაჩნია, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ უნდა განვითარდეს უიმისოდ, – აღნიშნა მაჭავარიანმა. – სააკაშვილი ასევე თავს იკავებს ჟურნალისტიკით კონტაქტებისგან.

საქართველოს საზოგადოებრიობასთან ექსპრეზიდენტს ურთიერთობა აქვს „ფეისბუქის“ მეშვეობით. ახალი წლის წინათ ნიუ-იორკში მას ეწვივნენ დეპუტატები „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ გიორგი ვაშაძე და დავით საყვარელიძე. ამ დროს საფრანგეთში 23 იანვრისთვის დაინიშნული საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის დავით კეზერაშვილის სასამართლო პროცესის დაწყების წინ თბილისში სულ უფრო მეტს საუბრობენ იმის შესახებ, რომ გამოძიებას შეეკითხებიან ექნება ყოფილი პრეზიდენტის მიმართაც.

– კეზერაშვილის დაპატიმრება დიდი დარტყმა იყო „ნაციონალებისთვის“, – განუცხადა ჩვენს გაზეთს საქართველოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის კვლევების ინსტიტუტის დირექტორმა, ნატოს ეგიდით მოქმედი ტერორიზმთან ბრძოლის საერთაშორისო სამუშაო ჯგუფის ექსპერტმა ვახტანგ მისიაიამ. – ექსპრეზიდენტისთვის ამჟამად ყველაზე მნიშვნელოვანია საკუთარი კეთილდღეობა. მისთვის სულ ერთია, რა მოუვათ მის პარტიელებს. მაგრამ იგი გრძნობს პირად საფრთხეს, თუ კეზერაშვილი დაინიშნება ჩვენების მიცემას. ამიტომ შეეცადა კიდევ, გა-

იქ ხუგაევის დიდი სამრეწველო ბიზნესი ჰქონდა. ორშაბათს კაბინეტის სხდომაზე პრეზიდენტმა ბრალი დასდო პრემიერს „2013 წლისთვის გათვალისწინებული ამოცანების პრაქტიკულად ჩაშლაში“. მისი სიტყვებით, მთავრობამ ვერ შეძლო „გამოემუშავებინა და დაენერგა ხელისუფლების ორგანოების მართვის ანგარიშის სისტემა“ და შეასუსტა კონტროლი „როგორც პრეზიდენტის, ისე საკუთარი დავალებების შესრულებაზე“. მან პრემიერს უსაყვედურა ისიც, რომ ცალკეულ რაიონებში „უბრალოდ არ იცნობენ მინისტრებს“.

მაგრამ, ლეონიდ თიბილოვის სიტყვებით, შარშან მთავრობამ დაუშვა სახსრების შეუთანხმებელი ხარჯვა, რომლებიც გამოყოფილი იყო რუსეთის მიერ საინვესტიციო პროგრამებისთვის. „შარშან რუსეთის ფედერაციის საანგარიშო პალატის სპეციალისტებმა მოაწვეეს რუსეთის მიერ გამოყოფილი საფინანსო სახსრების მიზნობრივი ხარჯვის შემოწმება. შედეგად გამოვლინდა მთელი რიგი სერიოზული დარღვევები და ნაკლოვანებანი. მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევები დაშვებული იქნა წინა წლებში, რესპუბლიკის ამჟამინდელი მთავრობამ არ მიიღო არანაირი ზომები მათი თავიდან აცილებისთვის“, – განაცხადა ბატონმა თიბილოვმა და განმარტა, რომ სხვა გამოსავალი არ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ მთავრობა გადაეყენებინა.

კაბინეტის ხელმძღვანელის მოვალეობის დროებით შემსრულებლად დაინიშნა ამჟამინდელი ვიცე-პრემიერი დომენტი კულუმბეგოვი. ჩვენი გაზეთის ინფორმაციით, სწორედ ის ჩაუდგება სათავეში ახალ მთავრობას. ჯერჯერობით არ არის ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი მინისტრი დატოვებს თავის საფარს, თუმცა, როგორც ჩანს, ასეთები ძალიან ცოტა იქნება. წყაროების აზრით, რესპუბლიკის ხელმძღვანელობაში პრეზიდენტის მთავარი მიზანი იყო პრემიერ ხუგაევის შეცვლა.



დედაიძის ზურგზე



ლავროვმა გააპრიტიკა დასავლელი პოლიტიკოსები კიევიში მიმდინარე მომვლენათა დაკავშირებით: სიტუაციას სტიმულს უცხობთ და აქლავთ

რუსეთი ყველაფერს აკეთებს, რათა არ დაუშვას უკრაინის გათიშვა, დაუშობა მინისტრმა და მოუწოდა კრიზისში ჩართულ მხარეებს დიალოგისკენ გარედან ჩარევის გარეშე. ამ დროს კიევის ცენტრში არ წყდება ოპოზიციის აგრესიულად განწყობილი ნაწილისა და ძალადობის შეტაკებანი.



უკრაინაში გამომდინარე „არაპოლუმი“ კანონები. ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკება რუსეთის საფრთხეშია

წინა დღით დეპუტატმა ფრაქცია „პატრიოტნიდან“ ანდრეი პავლოვსკიმ განაცხადა, რომ ხელისუფლება წინასწარვე შეთანხმდა, არ გამოაქვეყნოს ეს კანონები, რომლის გაუქმებაც მოითხოვა ოპოზიციამ დიალოგის პირობად. ოპოზიციონერები ცდილობდნენ, დაებლოკათ სტამბა, მაგრამ დააგვიანეს: გაზეთები გამოვიდა ვადაზე ადრე და გაიზარდა რეგიონებში.

საფრანგეთმა ნება მისცა სირიის დელიბაციას, გაზრდის „შენიშნა-2-ში“ თავის საპარტო სივრცით

საფრანგეთის მხრიდან ნებართვის მიცემის შესახებ განაცხადა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ. უწყების ხელმძღვანელმა სერგეი ლავროვმა ასევე შეახსენა მოსკოვის პოზიციაც, რაც კონფერენციის მიზანს შეეხება. მან შეცდომა უწოდა გაეროს გენერალური მდივნის გადაწყვეტილებას, გაიწვიოს ირანის მიწვევა, აღნიშნა, რომ ამისთვის შეარჩიეს „ცბიერი“ ფორმულირება.

ისრაელის საპარტო ძალად ეილათს სარაპიტო სროლა გაშვართეს

ისრაელის საექსტერნო სამსახურებში შემოვიდა ზარები ეილათის მცხოვრებლებისგან, რომლებიც იტყობინებოდნენ ქალაქში ორი აფეთქების შესახებ. სამხედროების წინასწარი მონაცემებით, ჭურვები აფეთქდა უშენ ადგილას. ცნობები დაზარალებულთა შესახებ არ შემოსულა.



© ვინცა ვართ, ესა ვართ

სეოკა სოჭის დელეგაცია ღაამტვიცა

საპარტიმელოს ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტში 2014 წლის პირველი აღმასკომის სხდომა გაიმართა. დღის წესრიგის უმთავრესი საკითხი ზამთრის მომავალ ოლიმპიურ თამაშებზე საქართველოს დელეგაციის შემადგენლობის დამტკიცება იყო. სოჭში წამსვლელი ქართული დელეგაციის სია აღმასკომის წევრებს სეოკ-ის ვიცე-პრეზიდენტმა მამუკა ხაბარელმა გააცნო.

ალი), გერა აბრამიშვილი და ჯოვანი ლაზარინი (სამთო-სათხილამურო სპორტი). ადმინისტრაციულ პერსონალს წარმოადგენს რუსუდან აფციაური, მისიის ხელმძღვანელი კი მე ვიქნები“ – განაცხადა მამუკა ხაბარელმა. ქართული დელეგაციის სხვა წევრები: სეოკ-ის პრეზიდენტი ლერი ხაბელოვი, მისი თანმხლები პირი ავთო მაისურაძე, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზე-

გარეთ იცხოვრებენ. ლერი ხაბელოვის განცხადებით, ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიაზე ქართული გუნდის მებრძოლები ნინო ნიკლაური იქნება. „წინასწარი გეგმით მედროველენე გედევანიშვილი უნდა ყოფილიყო, მაგრამ იმის გამო, რომ ოლიმპიადამი ჩართვა მოგვიანებით უნდა, გახსნის ცერემონიაზე ჩამოსვლას აღარ აპირებს და დროს მაქსიმალურად მზადებისთვის გამოიყენებს“ – განაცხადა სეოკ-ის პრეზიდენტმა. ჩამოთვლილი 19 ადამიანის გარდა, სოჭის ოლიმპიურ თამაშებზე საზოგადოებრივი მასშტაბის გადამღები ჯგუფებიც გაემგზავრებიან. დელეგაციის შემადგენლობის დამტკიცების შემდეგ აღმასკომმა საქართველოში დაფუძნებული სამი ეროვნული ფედერაციის განაცხადები განიხილა და აღიარა. საუბარია საქართველოს ბავშვთა და მოსწავლე ახალგაზრდობის სპორტის ეროვნულ ფედერაციაზე, საქართველოს ჩერლინგის ეროვნულ ფედერაციასა და ხანშიშესულ სპორტის მოყვარულთა საერთაშორისო ორგანიზაციაზე.



© სუმი

გაგამარუს დადებითი ბალანსისთვის ისევ 2 მობეზა სჭირდება

ძარტიმელებს სუმიოსტმა თეიმურაზ ჯუღელმა პაცუ ბაშოზე მიჯრით მე-2 მარცხი განიცადა და 6 მოგების წილ 4 წაგება მოუგროვდა. აღმოსავლეთის მე-12 მაგაშირას წოდებით მოასპარეზე გაგამარუს აღმოსავლეთის მე-6 მაგაშირას ტიტულის მქონე მონღოლ ტამაგაშის დაუპირისპირდა და ოშიდაშით წააგო.


ტოკიოს „რიოგოკუ კოკუგიკანში“ მიმდინარე წლის პირველი სუ-პერტურნირის დასრულებამდე 5 ტურია დარჩენილი, ქართველ გო-



ლიათს კი დადებითი ბალანსისთვის ორი ორთაბრძოლის მოგებაც ეყოფა. გაგამარუს შემდეგი მონაწილედგე დასავლეთის მე-10 მაგაშირა ენდოა, რომელსაც ზურგს 8 გამარჯვება უმაგრებს.

პაცუ ბაშოს ერთპიროვნულ ლიდერად მონღოლი იოკოძუნა ჰაკუპო რჩება, რომელსაც ათივე შერკინება მოგებული აქვს, ოქცი კაკურიუს აქტივში კი 9 მოგებაა.

კოზა კოზახიძე



„ოლიმპიურ თამაშებზე საქართველო 4 სპორტსმენით იქნება წარმოდგენილი. ესენი არიან ელენე გედევანიშვილი (ფიგურული სრიალი), იასონ აბრამიშვილი, ნინო ნიკლაური და ალექსი ბენიანიძე (სამივე სამთო-სათხილამურო სპორტი). მათ გარდა სოჭის ოლიმპიურ სოფელში იცხოვრებენ მწვრთნელები: გისლენ ბრაიანდი (ფიგურული სრი-

ნაიშვილი, ოლიმპიური ატაშე პეტრე ცანავა, პრეს-ატაშე კახა ბერიძე, სამთო-სათხილამურო სპორტის ფედერაციის გენერალური მდივანი გიორგი ცაგარელი, ფიგურული ციგურაობის ფედერაციის პრეზიდენტი მარიამ გიორგობიანი და ჟურნალისტები: თენგიზ გაჩეჩილაძე, თენგიზ პაჭკორია და თამარ ყულუშბეგაშვილი კი ოლიმპიური სოფლის

ბეჟან დოლიძე

© კალათბურთი



„რეალმა“ საპუტარი რეკორდი გააუმჯობესა

საქალბატოტურთო მადრიდის „რეალმა“ ესპანეთის ჩემპიონატის ახალი რეკორდი დაამყარა. კასტილიურმა კლუბმა ტურნირის სტარტზე ზედიზედ 16 გამარჯვება იზეიმა, რაც აქამდე ვერაგის მოუხერხებია. საინტერესოა, რომ უწინდელი მიღწევა ასევე „რეალს“ ეკუთვნოდა. 1987-88 წლების სეზონში მადრიდელებმა მიჯრით 15 შეხვედრაში იმარჯვეს. ცნობისთვის, ჩემპიონატი „სამეფო კლუბის“ უახლოესი მდევარი „ვალენსია“ გახლავთ, რომელიც „რეალს“ 2 მოგებით ჩამორჩება, ხოლო „ბარსელონას“ აქტივში მხოლოდ 11 გამარჯვებაა.

ვიტალი ჯაფარიძე

© ფეხბურთი

როსტომი: ნეიმარში 57.1 მილიონი გადავიხადეთ

კატალონის „ბარსელონას“ პრეზიდენტმა სანდრო როსელმა ისტორიული თანხა დაასახელა, რაც კლუბმა „სანტოს“ ნეიმარში გადაიხადა. კატალონიური პრესის ცნობით, „ბლაუგრანას“ 21 წლის ბრაზილიელის ტრანსფერი 57.1 მილიონი ევრო დაუჯდა. ესპანურ მედიაში გავრცელებული ცნობებით, „ბარსელონამ“ ნეიმარში რეალურად გადახდილი თანხა დამალა და სინამდვილეში „სანტოს“ 95 მილიონი ევრო გა-



დაუხადა. სანდრო როსელი სწორედ ამ ინფორმაციას გამოუხმაურა: „ნეიმარის ტრანსფერზე რომ გეკითხათ, აუცილებლად გეტყვით, რომ მასში 57.1 მილიონი ევრო გადავიხადეთ. ამ თემასთან დაკავშირებით მეტს ვერაფერს ვიტყვი. „ბარსელონა“ მედიისთვის ყოველთვის გამჭვირვალედ მუშაობს, მაგრამ არსებობს საკითხები, რაც კონფიდენციალური შეთანხმების ნაწილია“.

გიორგი შოთაძე

© ინტერნეტიდან

შინჯიმი ამერიკის ბასინჯა

კითხვა: ვინაა ამერიკის იჩინოსე? პასუხი: ამერიკის იჩინოსე არის „მანჩესტერ იუნაიტედის“ იაპონელი ფეხბურთელის შინჯიმი კაგავას სატრფო. კითხვა: რითი გამოირჩევა ამერიკის იჩინოსე? პასუხი: გამოირჩევა დიდი მკერდითა და არცთუ ნათელი წარსულით, რადგან თავის დრო-

ზე იაპონური პორნოფილმების ვარსკვლავი გახლდათ. კითხვა: რას ამბობს კაგავა თავისი გულისსწორის პორნოწარსულის შესახებ? პასუხი: შეიძლება დიდად არც ახარებს ეს ამბავი, მაგრამ როდესაც მის მკერდას და სხვა რამეზე მეტს შეაველებს ხოლმე ხელს,

ყველაფერი ავიწყდება. კითხვა: თვად რას ფიქრობთ ამერიკის იჩინოსეს შესახებ? პასუხი: ასე სახალხოდ ვერ ვიტყვი...

როსტომ რაჭველიშვილი



© ჩოგბურთი

გამოვლინდნენ პირველი ნახევარ ფინალისტები

ბსტრბლიის ღია პირველობის ქალთა ტურნირის პირველი ნახევარფინალისტები ჩინელი ნა ლი და კანადელი ეფენი ბუშარი გახდნენ. აზიელმა საათსა და 7 წუთში იტალიელ ფლავია პენეტას 6:2, 6:2 მოუგო, 19 წლის ბუშარმა კი სერბ ანა ივანოვიჩს 5:7, 7:5, 6:2 სძლია. „მეოთხედფინალისთვის დღენახევარი ვეშაბადებოდი და კარგი თამაშის ჩვენებაც მოვახერხე. კარგია, ნახევარფინალში სერენასთან რომ არ მომიხერხებია, თუმცა, ნებისმიერი მეტოქე საშიშია და მომავალი პაექრობისთვის უდიდესი პასუხისმგებლობით მოვემზადები“, – განაცხადა ლი ნახევარფინალში გასვლის შემდეგ.



შეგახსენებთ, რომ 2011 და 2013 წლებში ნა ლიმ ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ფინალში ითამაშა. 19 წლის ეფენი ბუშარმა სერენა უილიამსის დამარცხებულ ანა ივანოვიჩს მოუგო. ბუშარი პირველად მონაწილეობს ავსტრალიის ჩემპიონატის ძირითად ბადეში და პირველივე ცდიდან დიდ წარმატებას მიაღწია. ეფენი კარიერის განმავლობაში მეორედ შეხვდა ივანოვიჩს და მეორედაც მოახერხა მისი დამარცხება. * * * გუშინ: ვაჟები. მეოთხედფინალი. ვავრიცვა – ჯოკოვიჩი 3:2.

ბანუარ გიორგაძე

